განკარგულება:**g-27. 27242392**
თარიღი:**26/08/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 46

26 აგვისტო 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მიმდინარე წლის 11 აპრილს შ.პ.ს. „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკამ“ წერილობით მომართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თელავში 4 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა, შემდგომი არაინფექციური პათოლოგიურ-ანატომიური ნარჩენების სამარხის მოწყობის მიზნით.

„ტექნიკური რეგლამენტის - „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის (ნარჩენების VI ნაკადის დამუშავება) თანახმად, არაინფექციური პათოლოგიურ-ანატომიური ნარჩენები არ არის საშიში არც ნარჩენების შემგროვებლებისა და არც საზოგადოებისთვის, შესაბამისად, ეპიდემიოლოგიურად უსაფრთხო ასეთი ნარჩენები შეიძლება დაიმარხოს სპეციალურად გამოყოფილ სამარხებში. კლინიკის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სამარხის მოსაწყობად თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეულ იქნა ქ. თელავში, გოგებაშვილის ქუჩაზე არსებული 4 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 53.20.40.744).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკას“ (ს/ნ 231169810) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 (ორი)** წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თელავში, გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე 4 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 53.20.40.744) შემდგომში არაინფექციური პათოლოგიურ-ანატომიური ნარჩენების სამარხის მოწყობის მიზნით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი